


შპს „დორანი“

2019 წლის
ფინანსური ანგარიშგება

დირექტორი




გ. ზირაქაშვილი

შპს დორანი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის

	31/12/19 GEL	31/12/18 GEL
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	93,560	97,664
სავაჭრო მოთხოვნები	119,451	114,812
ანგარიშსწ.ანგარიშვ.პირებთ	50,000	50,000
ნედლეული და მასალები		
სხვა მოკლევადიანი აქტივები	2,983	317
სულ მოკლევადიანი აქტივები	265,994	262,793
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	737,765	683,053
მიწის ნაკვეთები	120,377	126,987
ბიოლოგიური აქტივები	1,797,175	1,607,340
მონაწილეობა სხვა საზ.-ში	7,000	7,000
სულ გრძელვადიანი აქტივები	2,662,317	2,424,380
სულ აქტივები	2,928,311	2,687,173
კაპიტალი და ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	23,169	13,886
საგადასახადო ვალდებულებები		6,508
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	104	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	23,273	20,394
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	513,819	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	513,819	
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი	4,009,726	4,032,026
ბიოაქტივების გადაფასების რეზერვი	1,797,175	1,607,340
გასული წლ. მოგება/ზარალი	(2,973,812)	(2,779,415)
მიმდ. წლ. მოგება/ზარალი	(441,870)	(193,172)
სულ საკუთარი კაპიტალი	2,391,219	2,666,779
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	2,928,311	2,687,173

დირექტორი




გ. ზირაქაშვილი

შპს დორანი

2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	2019 GEL	2018 GEL
ამონაგები	169,138	284,740
საქონლის გაყიდვიდან	166,686	284,740
სხვა შემოსავალი	2,452	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(109,481)	(52,138)
საწყისი მარაგები		
მარაგების შესყიდვა	(109,481)	(52,138)
საბოლოო მარაგები		
საერთო მოგება	59,657	232,602
დასაქმებულთა ანაზღაურება	(276,807)	(231,949)
ცვეთა და ამორტიზაცია	(116,395)	(97,143)
საპროცენტო ხარჯი	(25,254)	
იჯარის ხარჯი	(212)	(212)
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(78,213)	(92,449)
სულ საოპერაციო ხარჯები	(496,882)	(421,753)
საოპერაციო ზარალი	(437,225)	(189,151)
წმინდა დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	(4,645)	(4,021)
ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან	(441,870)	(193,172)
ზარალი	(441,870)	(193,172)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ბიოლოგიური აქტივის გადაფასების რეზერვი	189,835	160,734
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	(252,035)	(32,438)
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	2,666,779	2,509,250
კაპიტალის გაზრდა	(22,300)	189,967
პერიოდის მოგება/(ზარალი)	(252,035)	(32,438)
სხვა ცვლილებები საკუთარ კაპიტალში	(1,225)	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2,391,219	2,666,779

დირექტორი




გ. ზირაქაშვილი

შპსს დორანი

2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი სახსრების მოძრაობის
ანგარიშგება

	2019 GEL	2018 GEL
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	541	100,606
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა	541	100,606
სავალუტო კურსის ეფექტი	(4,645)	(4,021)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	97,664	1,079
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	93,560	97,664

დირექტორი



გ. ზირაქაშვილი

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2019 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის**

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დორანი“ დაარსებულია 2004 წელს. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ახმეტის მუნიციპალიტეტი. მისი ძირითადი საქმიანობაა თხილის მოყვანა და რეალიზაცია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში, ლარში (GEL).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, არაწრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები: შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი, მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა 20 პროცენტი.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები


სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი მოვიდა - პირველი გავიდა“ (FIFO) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

სავაჭრო ვალდებულებები

დირექტორი



გ. ზირაქაშვილი

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

3. განმარტებითი შენიშვნები

ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები

მუხლში „ფული და ფულის ეკვივალენტები“ აგრეგირებულია ნაღდი ფული სალაროში და ფული საბანკო ანგარიშებზე, შემდეგი მნიშვნელობებით:

	31/12/19	01/01/19
ნაღდი ფული სალაროში	119	119
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	539	539
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	91,301	97,005
	\$30,245	\$36,242
	110,322	110,322

მუხლის „ანგარიშსწორება ანგარიშვალდებულ პირებთან“ მნიშვნელობა - 50,000 ლარი შეესაბამება წინა პერიოდებში თანამშრომელზე თხილის შესაძენად გაცემულ საქვეანგარიშო თანხას. პერიოდის ბოლოსათვის თხილი არ შეძენილა და არც თანხაა დაბრუნებული.

მუხლი „ძირითადი საშუალებები“ ასახავს შენობა-ნაგებობების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სამელიორაციო მოწყობილობების, საოფისე ავეჯის ნაჩენ ღირებულებას.

მუხლი „მიწის ნაკვეთები“

პერიოდის დასაწყისისთვის კომპანიის საკუთრებაში იყო 10,659 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ქ. ახმეტაში, რომელზედაც განთავსებულია კომპანიის ოფისი და საწარმოო შენობა-ნაგებობები და 154 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები ახმეტის მუნიციპალიტეტში (ქ. ახმეტა, ს. მატანი, ს. ქორეთი), რომელთა ნაწილზე (86 ჰა) გაშენებულია თხილის ნარგავები, ნაწილი კი გამოიყენება სათიბად.


პერიოდის განმავლობაში რეალიზებულია 1,322 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი ქ. ახმეტაში.

მუხლი „ბიოლოგიური აქტივები“

კომპანიას 86 ჰა-ზე გაშენებული აქვს თხილის ნარგავები. ნარგავების საშუალო ასაკი არის 9 წელიწადი. მუხლის მნიშვნელობა მიღებულია აქტივის რეალური ღირებულების აღრიცხვის მოდელით.

მუხლი „გრძელვადიანი სესხები“

დირექტორი



გ. ზირაქაშვილი

2019 წ. 1 აპრილის ხელშეკრულებით, საწარმოს ფიზიკური პირისგან აღებული აქვს გრძელვადიანი სესხი, წლიური 12%-იანი სარგებლით. სესხი მიიღება ტრანშებად, მსესხებლის მოთხოვნილი გრაფიკით, 1 500 000 ლარის ფარგლებში. 2019 წ. განმავლობაში აღებული სესხის ძირითადმა ნაწილმა შეადგინა 488,564 ლარი, ხოლო მასზე დარიცხულმა სარგებელმა 25,254 ლარი.

ბ) სრული შემოსავლისა და კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება


მუხლის „ამონაგები“ მნიშვნელობა, 166,686 ლარი, მოიცავს 2019 წ. რეალიზებული პროდუქციის ღირებულებას:

	რაოდენობა	ღირებულება
თხილი გაუტეხავი	22.2 ტონა	166,686

მუხლის „სხვა შემოსავალი“ მნიშვნელობა 2,452 ლარი შედგება რეალიზებული მიწის ნაკვეთის ნამეტის (1,368 ლარი) და საპენსიო სქემიდან გამოსული საწარმოს თანამშრომლებისთვის სამი თვის განმავლობაში გადახდილი საწარმოს წილი 2%-ს საპენსიო ფონდიდან საწარმოსთვის დაბრუნებული თანხის (1,084 ლარი) ჯამისგან.

მუხლის „ბიოლოგიური აქტივების გადაფასების რეზერვი“ მნიშვნელობა შეესაბამება თხილის ნარგავების ნაწილის სრული მსხმოიარობის ასაკში შესვლის გამო ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულების ზრდას.

დირექტორი



გ. ზირაქაშვილი